აიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1921 წელს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის შექმნისა და პირველი კორპუსის ტერიტორიაზე განთავსების მიზნით მემორიალის ესკიზური პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის საკონკურსო დოკუმენტაცია

წინამდებარე საკონკურსო პირობები შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

საკონკურსო განცახდება

1. ააიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს 1921 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის მხატვრულ-არქიტექტურული ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების კონკურსის წესით სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).

2. შესყიდვის ობიექტი:

1921 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

მემორიალის განთავსების ადგილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შიდა ეზო (ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.#1).

3. კონკურსის მიზანია - 1921 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის საუკეთესო ესკიზის შერჩევა და მისი განხორციელება.

4. შესყიდვის საერთო სავარაუდო ღირებულება (მათ შორის ესკიზის, ხარჯთაღრიცხვის შედგენისა და საავტორო უფლებების გადაცემის) შეადგენს: **4000.00** ლარს;

5. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

მიმღების ბანკი	სს ბანკი ,,რესპუბლიკის'' ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი REPLGE22	
მიმღები	სსიპ ,,კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო''
მიმღების ანგარიში #GE52BR0000010591718543	

6. <u>საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:</u>

✓ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

✓ შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

✓ კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

✓ საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება. ამასთანავე, ამ განცხადების მე-5 და მე-6 პუნქტების დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

9. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

<u>შენიშვნა:</u> დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მას თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

10. კონკურსის გამოცხადების თარიღია 2013 წლის 15 ივლისი.

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 20 ივლისის 10:00 საათიდან 2013 წლის 26 სექტემბრის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.#1 თსუ პირველი კორპუსი, ოთახი 016, შესყიდვების განყოფილება.

12. საკონკურსო ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა 2013 წლის 1 ოქტომბრის 11.00 საათიდან 4 ოქტომბრის 17.00 საათამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.#1, თსუ პირველი კორპუსი

13. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

14. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში ერთ ეტაპად, მიღება–ჩაბარების აქტისა და/ან ინვოისის/საგადასახადო ანგარიშფაქტურის, ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე. დოკუმენტაციის გაფორმებიდან და შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოდან მემორიალის დადგმაზე უფლების მოპოვების შემდეგ, 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

- საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

15. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

✓ განცხადება მონაწილეობის მიღების შესახებ;

✓ რეკვიზიტები: მისამართი (იურიდიული და ფაქტობრივი), ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები;

✓ წინადადების ფასი;

✓ მემორიალის დიზაინი;

✓ ხარჯთაღრიცხვა;

✓ ინფორმაცია მომსახურების ვადის შესახებ;

✓ ინფორმაცია (ესკიზები და ფოტოები, შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც) კონკურსანტის მიერ განხორციელებული არანაკლებ 3 ანალოგიური თემატიკის არქიტექტურული პროექტის შესახებ;

✓ საკონკურსო პროექტი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს, მაკეტის, ნახაზების, რამდენიმე რენდერის ან პერსპექტიული ჩანახატის ფორმით;

- ✓ პროექტის შესრულების მანერა თავისუფალია. ესკიზი უნდა ასახავდეს მემორიალის კომპოზიციის ზომებს, ფერსა და ფაქტურას;
- ✓ გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა, განმარტებითი ბარათი (არაუმეტეს სამი გვერდისა);
- ✓ სიტუაციური გეგმა, მასშტაბი - 1:500;
- ✓ მემორიალის გეგმა, მასშტაბი - 1:10;
- ✓ მემორიალის ერთი ან ორი ხედი;
- ✓ მემორიალის მაკეტი, მასშტაბი - 1:10.
- ✓ მასალები წარმოდგენილი უნდა იყოს მსუბუქ პლანშეტებზე (3-6 მმ) ზომით 80X100 (სათანადო საკიდებით); თითოეულ პლანშეტზე ქვედა მარჯვენა კუთხეში უნდა დაიწეროს დევიზი, პლანშეტის ქვედა მარჯვენა კუთხეში კი პლანშეტის ნუმერაცია; დალუქულ კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს დევიზი, ხოლო კონვერტში დაფიქსირებული უნდა იყოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხა.
- ✓ კონკურსანტის წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო დოკუმენტაცია CD-ზე PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა:
საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმით: ესკიზ(ებ)ის ვიზუალური (გამომსახველობითი და ტექსტური ნაწილი) მხარე - კოეფიციენტი –1,0.
კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
საკონკურსო კომისიას შეუძლია მოახდინოს იმ საკონკურსო წინადადების დისკვალიფიცირება, რომლის კონცეფციაც მიუღებელი იქნება ესთეტიკური და კონცეფციალური თვალსაზრისით.
17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა შემსყიდელისათვის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით.
გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაცია უნდა წარმოდგენოს იმ სახითა და მოცულობით, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი იყოს მემორიალის რეალიზებისთვის აუცილებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად.
18. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა აისახოს კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.
19. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებას იტოვებს, შეიტანოს ცვლილებები ესკიზში და საბოლოო დოკუმენტაციაში.
20. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.
21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და

წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აუნაზღაუროს კონკურსანტს შესყიდვაში მონაწილეობის ხარჯები.

22. კონკურსთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში. ი.ჭავჭავაძის გამზ.#1 თსუ პირველი კორპუსი, ოთახი 016, შესყიდვების განყოფილება. საკონტაქტო პირები: ინგა მერკვილიშვილი ტელ. 2 22 78 62, 577 59 58 39; ლია ბაყაშვილი ტელ. 577 57 88 48; ლელა კოპალეიშვილი ტელ. 577 94 32 94 .

ტექნიკური დავალება

✓ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს 1921 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის ესკიზისა და დადგმის ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

მემორიალის განთავსების ადგილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შიდა ეზო.

✓ მემორიალის ესკიზური პროექტი სივრცითი კომპოზიციის, მასშტაბის თვალსაზრისით უნდა იყოს კამერული ხასიათის, აღქმის წერტილები უნდა შეირჩეს უნივერსიტეტის გეგმარებითი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპოზიციის შერჩევისას ანგარიში უნდა გაეწიოს მიმდებარედ არსებულ გარემოსა და უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ისტორიულ შენობას. საკონკურსო პროექტის ესკიზები გადაწყვეტილი უნდა იყოს თავისუფალი დიზაინის, სკულპტურულ-არქიტექტურული სინთეზის საშუალებით; განმარტებით ბარათში მითითებული უნდა იყოს, რა მასალაში განხორციელდება მემორიალი.

✓ კონკურსში მონაწილეები თავისუფალნი არიან მემორიალური კომპოზიციის განსახორციელებლად გამოსაყენებელი მასალების შერჩევაში, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იყოს მემორიალის განთავსების ადგილი და გარემო პირობები, აგრეთვე, მემორიალის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს **30 000** ლარს.

✓ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროფესიონალ მხატვრებს, მოქანდაკეებს, არქიტექტორებს, ჯგუფური პროექტის წარმოდგენისას მასში ჩართულ არადიპლომირებულ სპეციალისტებსაც.

✓ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა მოხდეს, შემდეგ მისამართზე: ი.ჭავჭავაძის გამზ.#1 თსუ პირველი კორპუსი, ოთახი 016, შესყიდვების განყოფილება.

✓ შესყიდვის საერთო ღირებულებაში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი.

✓ საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ნორმებითა და სტანდარტებით.

✓ გამარჯვებული პროექტის ავტორი კონკურსის მომწყობს გადასცემეს ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ

ქონებრივ უფლებებს, ასევე შესყიდულ პროექტში ცვლილებების განხორციელების უფლებას ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის შესაბამისად. ხოლო არაპრემირებული პროექტი, საკონკურსო მასალები უბრუნდებათ ავტორებს კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან მომდევნო 3 დღის ვადაში.

✓ იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უნდა განხორციელდეს ანაზღაურების გარეშე.

დანართი N2

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ.თბილისი 2013 წელი

ერთი მხრივ ააიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი'') და მეორე მხრივ ,,----------'', წარმოდგენილი მისი ---------- სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის, ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი:
1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) დამზადების მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის ესკიზის, ხარჯთაღრიცხვისა და

აღნიშნულ ესკიზზე ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში გადაცემა

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა ჯგუფი და/ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი პირი, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად. ინსპექტირება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მიწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვას.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

4.1. მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტის მოწოდება უნდა უზრუნველყოს საკონკურსო პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში. შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #1.

4.2. საბოლოო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს იმ სახითა და მოცულობით, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი იყოს მემორიალის რეალიზებისთვის აუცილებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

მიღება-ჩაბარებისას შემსყიდველი ორგანიზაცია განახორციელებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირებას. ინსპექტირების შედეგებზე შედგენილ იქნება დასკვნა უფლებამოსილი პირების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და პირობები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

6.2. გადახდის ფორმა - უნაღდო

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის ესკიზის, ხარჯთაღრიცხვისა და აღნიშნულ ესკიზზე ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის, ინსპექტირების დადებითი დასკვნისა და/ან ინვოისის/საგადასახადო ანგარიშფაქტურის და შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოდან მემორიალის დადგმაზე უფლების მოპოვების შემდეგ, 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;

7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე. მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა;

7.3.2. საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები ესკიზში და საბოლოო დოკუმენტაციაში;

7.3.3. მოითხოვოს სამუშაოების შესრულების პროცესში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულება ანაზღაურების გარეშე;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. შემსყიდველს საკუთრებაში გადასცეს მემორიალის ესკიზი და შესაბამისი ყველა საავტორო უფლებები;

7.4.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.5.1. მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

7.5.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება 6.3. პუნქტის შესაბამისად.

8. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს -მაჟორი”)

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.

8.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

8.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

9.2. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

9.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

13. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ორი - ,,შემსყიდველთან''.

14. მხარეთა რეკვიზიტები